პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ იანვარი 2020 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016371) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების“:

1. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „თ“, „კ“, „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-10 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურიდან, სამსახურისათვის მინიჭებული ყველა საზედამხედველო ფუნქციის ამოღება, ვინაიდან ახლადშექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ აერთიანებს ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურში არსებული ყველა საზედამხედველო ფუნქციის ამოღება, რადგან იგი გადაეცა ახლადდაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციას“, რომელშიც თავი მოიყარა მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულმა ყველა ზედამხედველობითმა ფუნქციამ.

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ამოღებული იქნება „ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება“ და შესაბამისად ყველა საზედამხედველო ფუნქცია.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **რამაზ მამულაძე**